პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 14 ივნისი, 1944 წ. № 120 (7064). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ამხანაგი სტალინი მოკავშირეთა ჯარების შეჭრის შესახებ ჩრდილოეთ საფრანგეთში (1-ლი გვერდი).

ახალი აღმავლობისათვის მრეწველობაში! მოწინავე.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 13 ივნისის ოპერატიული ცნობა (1-ლი გვერდი).

გაერთიანებულ ერთა დღის შესახებ (1-ლი გვერდი).

ჩაის ფოთოლი ვკრიფოთ სწრაფად და მაღალხარისხოვნად. ივნისში ვიმუშაოთ უკეთესად, ვიდრე მაისში; რატომ არ დაიცვეს ტექნოლოგიური პროცესი; ერთ დღეს — 1.547 კილოგრამი (მე-2 გვერდი).

ანტონ ჩეხოვის გარდაცვალების 40 წლისთავისათვის (1-ლი გვერდი).

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია (მე-2 გვერდი).

უცხოეთის ამბები: უცხოეთის პრესა კარელიის ყელზე საბჭოთა ჯარების შეტევის შესახებ; მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დილის ცნობა; საომარი მოქმედება იტალიაში (1-ლი და მე-2 გვერდები).

ამხანაგი სტალინი მოკავშირეთა ჯარების შეჭრის შესახებ ჩრდილოეთ საფრანგეთში

„პრავდის“ კორესპონდენტის კითხვაზე, თუ რა შეფასებას აძლევს ამხანაგი სტალინი ჩრდილოეთ საფრანგეთში მოკავშირეთა დესანტის გადასხმას, ამხანაგმა სტალინმა შემდეგი უპასუხა:

ვაჯამებთ რა ჩრდილოეთ საფრანგეთში შესაჭრელად მოკავშირეთა განმათავისუფლებელი ჯარების შვიდი დღის ბრძოლების შედეგებს, შეგვიძლია უყოყმანოდ ვთქვათ, რომ ლა-მანშის ფართოდ გადალახვა და ჩრდილოეთ საფრანგეთში მოკავშირეთა სადესანტო ჯარების მასობრივი გადასხმა,—სავსებით მიღწეულია. ეს ჩვენი მოკავშირეების უეჭველად ბრწყინვალე წარმატებაა.

არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ომების ისტორიამ არ იცის მოფიქრების სიფართოვის, მასშტაბების გრანდიოზულობისა და შესრულების ოსტატობის მხრივ სხვა ასეთი წამოწყება.

როგორც ცნობილია, „უძლეველ“ ნაპოლეონს თავის დროზე სამარცხვინოდ ჩაეფუშა ლა-მანშის გადალახვისა და ბრიტანეთის კუნძულების დაპყრობის გეგმა. ისტერიით შეპყრობილმა ჰიტლერმა, რომელიც ორ წელიწადს იკვეხნიდა, რომ ლა-მანშის გადალახვას მოაწყობდა, თავისი მუქარის განხორციელების ცდაც კი ვერ გაბედა. მხოლოდ ბრიტანეთისა და ამერიკის ჯარებმა შესძლეს ღირსეულად განეხორციელებინათ ლა-მანშის გადალახვისა და სადესანტო ჯარების მასობრივი გადასხმის გრანდიოზული გეგმა.

ისტორია ამ საქმეს აღნიშნავს, როგორც უმაღლესი რიგის მიღწევას.

მოქმედი სამხედრო-საზღვაო ფლოტი. სურათზე: კავკასიის დაცვის მონაწილე წითელფლოტელები (მარცხნიდან მარჯვნივ): გ. ალექსაია, ი. ზაგორუიკო, ფ. რუდიაგა და ს. ზასიშვილი.

ფოტო „კომუნისტის“ სპეც. კორ. ვლ. გინზბურგისა.

ახალი აღმავლობისათვის მრეწველობაში!

1944 წლის პირველი ნახევარი დასასრულს უახლოვდება. უდიდესი ისტორიული მოვლენების ვითარებაში ვიბრძვიდა მას ჩვენი მრეწველობა. ამხანაგ **სტალინის** ბრძნული მხედართმთავრობით წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვება კარელიის ყელზე დრიფის მიხედვით დაემთხვა ჩვენი მოკავშირეების შეტევითს ოპერაციებს ჩრდილოეთ საფრანგეთსა და იტალიაში. წითელი არმიის ამ ახალ სახელოვან გამარჯვებას მთელმა საბჭოთა ხალხმა შრომითი აღმავლობით უპასუხა. ფრონტისადმი დახმარების შემდგომი გაძლიერების ნიშნით დაიწყო ბრძოლა გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში შესამჩნევად გააუმჯობესეს მუშაობა ჩვენი მრეწველობის საწარმოებმა. გეგმების გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად ამაღლდა პროდუქციის ხარისხი. მაგალითად, შარშანდელთან შედარებით მეშახტეები ახლა საგრძნობლად მეტ ქვანახშირს იძლევიან ფრონტისა და სამშობლოსათვის, გაცილებით უფრო წარმატებით ასრულებენ საწარმოო დავალებებს. მაისში ტყიბულქვანახშირისა და ტყვარჩელქვანახშირის ტრესტებმა პირველად მიმდინარე წლის მანძილზე გადაჭარბებით შეასრულეს მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმები. ეს მომავალში ქვანახშირის ამოღების ზრდის საწინდარია. მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმა მაისში ტყიბულელებმა 100,5 პროცენტით, ხოლო ტყვარჩელელებმა 100,2 პროცენტით გაანაღდეს. ქვანახშირის მოპოვების გეგმა კი იმავე თვეში ტყიბულსა და ტყვარჩელში თანაბარი წარმატებით — 100,1 პროცენტით შეასრულეს.

ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა შახტი, ყველა უბანი წარმატებით მუშაობდეს, არ იყოს არცერთი ჩამორჩენილი ბრიგადა. ეს კი ჯერჯერობით არ არის მიღწეული. ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა მაისში პირველობა მოიპოვა, თვის საწარმოო დავალება 113,8 პროცენტით შეასრულა, მაგრამ ასე წარმატებით ვერ იმუშავეს სხვა შახტებმა. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას გელათის შახტზე, რომელიც უკანასკნელ ხანებში ჩამორჩება.

აპრილი და მაისი მიმდინარე წლის განვლილი პერიოდის ყველაზე ნაყოფიერი თვეები იყო. ეს ორი თვე ახალი საწარმოო მიღწევებით აღინიშნა ჩვენი მრეწველობის მთელ რიგ ისეთ დიდ საწარმოებში, როგორიც არის 26 კომისრის მანქანათმშენებელი ქარხანა, კიროვის დაზგათმშენებელი ქარხანა, თბილისის საორთქლმავლო დეპო და სხვ. კიდევ უკეთეს შედეგებს უნდა მივაღწიოთ ივნისში. უზრუნველყოთ მიმდინარე საწარმოო დავალებების გადაჭარბებით შესრულება.

მთელმა რიგმა საწარმოებმა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულეს მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა. ამასთან არიან ისეთი საწარმოები, რომლებმაც წლიური დავალებებიც კი გაანაღდეს. ასეთია, მაგალითად, ფოთის თევზსაკერი საწარმო, რომელმაც ხუთ თვეში წლიური გეგმა 100,7 პროცენტით შეასრულა.

მაგრამ ზოგიერთი საწარმო ჩამორჩა მაისის გეგმების შესრულებაში. ჭიათურის მარგანტრესტმა ვერ უზრუნველყო ნაკისრი ვალდებულების განაღდება. მაისში ჭიათურამ ქვეყანას დააკლო 6.377 ტონა სასაქონლო პროდუქცია. ივნისშიც მხოლოდ ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს ასრულებს გეგმას. ამ ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ მიღებულ უნდა იქნას ენერგიული ზომები.

საჭიროა ივნისის დარჩენილი დღეები გამოვიყენოთ საწარმოო რესურსების, ახალ შესაძლებლობათა მაქსიმალური მობილიზაციისათვის, პროდუქციის გამოშვების მკვეთრად ზრდის უზრუნველსაყოფად.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს წარმოების ახალი მეთოდების დანერგვას. ეს პირველყოვლისა ეხება უწყვეტ ნაკადს. ეს მეთოდი აჩქარებს წარმოების პროცესს, ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას, დამხმარე მუშებზე მოთხოვნილებას, აადვილებს დეტალებისა და მასალების შიდასაქარხნო ტრანსპორტირებას. საქართველოს სამკერვალო ფაბრიკებში ნაკადური მუშაობის დანერგვამ ჩვენს მკერავებს ბევრად გაუადვილა საწარმოო დავალებათა შესრულება. ნაკადური მეთოდის დანერგვას სერიოზული ყურადღებით უნდა მოეკიდონ საწარმოთა სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელები.

ადგილობრივი პარტიული, კომკავშირული და პროფესიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით. ყველა საშუალება უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ წლის მეორე ნახევრის დასაწყისს შეეხვდეთ მომზადებულნი, მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშალ იოსიფ სტალინის საპირველმაისო ბრძანებას ჩვენი მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა უპასუხეს მზადყოფნით — კიდევ უფრო გააძლიერონ ფრონტისადმი დახმარება, უხვად მიაწოდონ წითელ არმიას ყოველივე, რაც საჭიროა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სრული განადგურებისათვის. ჩვენი მრეწველობისა და ტრანსპორტის ადამიანები ამ დაპირებას საქმით ანაღდებდნენ განვლილ პერიოდში, და ეჭვი არ არის, კიდევ უფრო წარმატებით შეასრულებენ მიმდინარე წლის მეორე ნახევარში.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ა. ა. ჟერნოკლევის და პ. ი. ჟერნოკლევას ორდენებით დაჯილდოების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა ზურგში წითელი არმიის 25 მებრძოლისა და ოფიცრის სიცოცხლის გადარჩენისათვის დაჯილდოებულ იქნან:

სამამულო ომის I ხარისხის ორდენით

ივანე ანდრიას-ძე ჟერნოკლევი — ხარკოვის ოლქის ზაჩეპილოვკის რაიონის სემიონოვკის სამედიცინო პუნქტის ფერშალი.

სამამულო ომის II ხარისხის ორდენით

პელაგია ივანეს-ასული ჟერნოკლევა—ხარკოვის ოლქის ზაჩეპილოვკის რაიონის სოფელ სემიონოვკის დიასახლისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წლის 12 ივნისი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

13 ივნისის ოპერატიული ცნობა

13 ივნისის განმავლობაში კარელიის ყელზე ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მხვლელობაშიც დაიკავეს მოწინააღმდეგის რამდენიმე დასაყრდენი პუნქტი და მათ შორის სტეკლიანანია, კეკროლა, როგუკიულა, ვესხვაინენი, სიირანგმიაკი.

ფრონტის დანარჩენ უბნებზე ცვლილება არ მომხდარა.

12 ივნისის განმავლობაში ყველა ფრონტზე საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 12 თვითმფრინავი.

* * *

კარელიის ყელზე ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. საბჭოთა ნაწილები სძლევდნენ ხანგრძლივ თავდაცვითს ნაგებობებსა და ფართოდ განვითარებულ საველე სიმაგრეებში ჩასაფრებულ ფინელთა წინააღმდეგობას და ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. ნ შენაერთის ნაწილებმა დაიკავეს რამდენიმე დასაყრდენი პუნქტი და ხელი იგდეს 34 ქვემეხი, 48 ნაღმსატყორცნი, 44 ტყვიამფრქვევი, 500 შაშხანა, 11 საწყობი სამამარ მასალითა და სურსათითა და სხვა დავლა. გაფანტული და ნაწილობრივ მოსპობილია მოწინააღმდეგის ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი. სხვა უბანზე უფროს ლეიტენანტ მარტინოვის ქვეგანყოფილებამ მოუარა ძლიერ გამაგრებულ პოზიციებს. ფლანგიდან და ფრონტიდან დარტყმით ეს პოზიციები გაწმენდილია ფინელებისაგან.

ჩვენი ავიაცია არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში კვლავ ურტყამდა ფინელების კომუნიკაციებს და ფრონტის ზაზისაკენ მომავალ რეზერვებს. დღის განმავლობაში საბჭოთა მფრინავებმა დაამსხვრიეს ორი ორთქლმავალი, 70 ვაგონი, მოსპეს 80-ზე მეტი ავტომანქანა და ჩაახშეს მოწინააღმდეგის 12 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი.

* * *

ქალაქ ნოგოსოკოლნიკოვის ჩრდილო-დასავლეთით მზვერავი რაზმი კაპიტან კლიმჩუკის მეთაურობით ხანმოკლე საარტილერიო თავდასხმის შემდეგ შეიჭრა გერმანელთა განლაგებაში. გააფთრებულ ბრძოლაში საბჭოთა მზვერავებმა გაიკლეს ასეულზე მეტი ჰიტლერელი, მოსპეს 2 ქვემეხი, აიფეთქეს 2 ბლინდაჟი და სათვალთვალო პუნქტი. მზვერავებმა ტყვედ წამოიყვანეს 12 გერმანელი და თავიანთ განლაგებაში დაბრუნდნენ.

* * *

როგორც ახლა გამოირკვა, იასის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში ბრძოლების დროს თავი გამოიჩინა წითელარმიელმა რომან სიმონის-ძე სმიშჩუკმა. 4 ივნისს ერთ უბანზე ჩვენს ქვეგანაყოფზე იერიში მოიტანა მოწინააღმდეგის 25 ტანკმა. შეიქმნა მეტად ძნელი მდგომარეობა. ამხ. სმიშჩუკი მოწინააღმდეგის ცეცხლქვეშ გამოვარდა სანგრიდან და გერმანელთა ტანკებისაკენ გაემართა. მან ზედიზედ მარჯვედ ისროლა რამდენიმე ტანკსაწინააღმდეგო გრანატი და დააზიანა გერმანელთა სამი ტანკი. მტრის დანარჩენმა ტანკებმა უკან დაიხიეს, მაგრამ შემდეგ ხელმეორედ მოიტანეს იერიში ქვეგანაყოფის პოზიციებზე. წითელარმიელმა სმიშჩუკმა ამ იერიშის დროს გრანატებით დაზიანა კიდევ სამი ტანკი. ამრიგად სულ ბრძოლების მსვლელობაში ამხ. სმიშჩუკმა გერმანელთა იქვსი ტანკი მოსპო.

* * *

ჩვენი ფლოტის ავიაციამ ნორვეგიის ჩრდილოეთ სანაპიროსთან ადმოაჩინა და ჩასძირა გერმანელთა სამი მოტორბოტი.

ლენინგრადის ოლქში მოქმედი პარტიზანული რაზმების ჯგუფმა ერთი კვირის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდო მოწინააღმდეგის 9 სამხედრო ეშელონი. დამსხვრეულია ბევრი ვაგონი და პლატფორმა. ლენინგრადელ პარტიზანთა რაზმი ამასწინათ გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდა გერმანელთა ქვეითი ჯარის ერთი ბატალიონის წინააღმდეგ. საბჭოთა პატრიოტებმა დიდი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს, შემდეგ კი მარჯვე მანევრით ბრძოლიდან გამოვიდნენ.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა ფინელთა მე-10 ქვეითი ხაზიდან ჯარისკაცმა ოლავი ტიიხონენმა განაცხადა: „ფინეთის მთავრობამ ჩიხში მოიყვანა ჩვენი ქვეყანა. ჰელსინკელი ბატონები, რომლებმაც დაიწყეს დანაშაულებრივი ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გერმანიის მხარეზე, ბევრს ხმაურობდნენ „დიდი ფინეთის“ შექმნის შესახებ. ჩვენ გვეუბნებოდნენ, გამარჯვების შემდეგ ომის ყოველი მონაწილე, რომელიც ამას მოისურვებს, კარელიაში მიწასა და ტყის დიდ ნაკვეთს მიიღებსო. შარშანდელი წლიდან ამაზე ლაპარაკი შესწყვიტეს. ყველასთვის უკვე ნათელი გახდა, რომ გერმანიამ ომი წააგო. ჯარისკაცებს შემდგომი წინააღმდეგობის გაწევა უსარგებლოდ და უაზროდ მიაჩნიათ. ფინეთის მთავრობისათვის საბჭოთა მთავრობის მიერ შეთავაზებულ სამშვიდობო პირობებზე ფართოდ მსჯელობდნენ ჯარისკაცთა შორის. ჩვენი ბატალიონის ჯარისკაცთა უმეტესობის აზრით, ეს პირობები საკმაოდ მისაღებია. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ფინეთის მთავრობა ისარგებლებდა მარჯვე შემთხვევით, გასწყვეტდა კავშირს გერმანიასთან და ზავს დასდებდა. მაგრამ ჩვენი იმედები არ გამართლდა. ჰელსინკელმა ბატონებმა გაჰყიდეს თავიანთი ქვეყანა და ფინელი ხალხი. ზავის საბჭოთა პირობების უარყოფამ ჯარისკაცთა ყრუ უკმაყოფილება გამოიწვია“.

საბჭოთა პაგრიოტები—ივანე და პელაგია ჟერნოკლევები

როცა ჰიტლერელმა ოკუპანტებმა დროებით დაიპყრეს ხარკოვის ოლქის ტერიტორია, ზაჩეპილოვკის რაიონის სემიონოვკის სამედიცინო პუნქტის ფერშალმა ივანე ანდრიას-ძე ჟერნოკლევმა და მისმა ცოლმა პელაგია ივანეს-ასულმა წითელი არმიის ოცდაშვიდი დაჭრილი მებრძოლი და ოფიცერი აჰკრიფეს ბრძოლის ველზე.

ჟერნოკლევებმა კარგად იცოდნენ, თუ რა რისკს ეწეოდნენ. საკითხი ასე იდგა: თუ ჰიტლერელები გაიგებდნენ, ვის მალავდა ფერშალი თავის ბინაში და სამედიცინო პუნქტის შენობაში, რასაკვირველია ისიცა და მისი ცოლიც სიცოცხლეს უნდა გამოსალმებოდნენ. მაგრამ ამან ვერ შეაჩერა საბჭოთა პატრიოტები, ვერ შეუშალა მათ ხელი სამშობლოს წინაშე თავიანთი მოვალეობის შესრულებაში. ივანე ანდრიას-ძე და პელაგია ივანეს-ასული ღვიძლ შვილებსავით უყვარდნენ დაჭრილებს, მკურნალობდნენ მათ, უკანასკნელ ლუკმა პურს უყოფდნენ. ბევრი მოუსვენარი დღე და უძილო ღამე გაატარეს მათ დაჭრილთა სასთუმალთან, მათმა შობლიურმა ზრუნვამ და ალერსმა თავიანთ ნაყოფი გამოიღო: 27 კაცში 25 გადარჩა და ფეხზე წამოდგა. ივანე ანდრიას-ძემ ისარგებლა სამედიცინო პუნქტის შტამპითა და ბეჭდით, ფიქტიური სიბუთები მისცა მათ და მის მიერ გადარჩენილმა ადამიანებმა მშვიდობით დაალწიეს თავი ყველა საპოლიციო კორდონს, მივიდნენ ფრონტის ხაზამდე, გადმოიარეს იგი და ახლა კვლავ წითელი არმიის რიგებში იბრძვიან.

ბევრი ფრონტიდან მიდის სოფელ სემიონოვკაში გულთბილი, უდიდესი მადლობით გამსჭვალული წერილები. ტანჯვით სიკვდილს ჟერნოკლევებს მიერ გადარჩენილი ადამიანები სწერენ მათ, როგორც ყველაზე შობლიურ და მახლობელ ადამიანებს.

„დიახ, ივანე ანდრიას-ძეო,—სწერს მ. პალატოვი,—აღარ ვფიქრობდი, თუ ამ ქვეყნად ვიცოცხლებდი. მაგრამ აი ცოცხალი ვარ, სალამს გითვლი და ჩემი მშობლები და დებიც მადლობას გიძღვნიან გულთბილობისა და ზრუნვისათვის“.

„მუდამ ვადლობელი ვარ თქვენი, — სწერს ვ. ტარასოვი,—რომ მომარჩინეთ და დამეხმარეთ მძიმე მომენტში. თქვენი წყალობით ახლა კვლავ წითელ არმიაში ვარ“.

ჟერნოკლევის მიერ გადარჩენილი ერთ-ერთი მებრძოლი, ნიკოლოზ მიხეილის-ძე ხელახლა დაიჭრა და ჰოსპიტალში მოათავსეს.

„...ჩემს ამხანაგს ყველას სძინავს, მე კი ძილი არ მეკარება,—სწერს იგი,—სულ თქვენზე ვფიქრობ, როგორა ხართ მაწდ თქვენს სოფელში, რა რიგად წვალობდით მაშინ — გერმანელების დროს. არა უშავს, ჩვენ შორის ვიძიებთ მათზე ჩვენი სამშობლოსათვის, ჩვენი დანგრეული ქალაქებისა და სოფლებისათვის, დედებისა და დებისათვის! ვერ გამომითქვამს რა ვადლობელი ვარ თქვენი, რომ ჩახსნინთ გერმანელ მხეცთა და ქვეწარმავალთაგან, ახლა კვლავ დაუნდობლად ვურტყამ მათ, ისევე როგორც წინათ“.

ივანე ანდრიას-ძე ჟერნოკლევმა ბევრი თავისი ახალგაზრდა თანასოფელი გადაარჩინა გერმანულ მონობაში გარეკას. როცა მათ გერმანელი „გამწვევის“ თათი მისწვდებოდა, ისინი გარბოდნენ ივანე ანდრიას-ძესთან, იგი ამოიღებდა სამედიცინო პუნქტის შტამპსა და ბეჭედს და აძლევდა მათ ცნობებს მეტად მძიმე ავადმყოფობის შესახებ, იმის შესახებ, რომ ისინი უვარგისი არიან რაიმე სამუშაოსთვის. ესეც დაკავშირებული იყო დიდ საფრთხესთან. მაგრამ ივანე ანდრიას-ძეს არ ეშინოდა ამ საფრთხის, სამშობლოსადმი, საბჭოთა ადამიანებისადმი სიყვარულმა, ჰტრასადმი სიძულვილმა ასწავლა მას—ზიზღით შეეხედა საფრთხისა და სიკვდილისათვის.

უკრაინის პატარა სოფელში, ფრონტის ხაზიდან, მრავალ კილომეტრზე, ასე ცხოვრობდა და მტრის წინააღმდეგ იბრძოდა უშიშარი პატრიოტების უჩინარი საბჭოთა გვირეკნა—ცოლ-ქმარ ჟერნოკლევების ოჯახი. და სამშობლომ არ დაიივიწყა მათი მამაცობა და უშიშრობა, მათი კეთილშობილური გმირობა: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ივანე ანდრიას-ძე ჟერნოკლევი დაჯილდოებულია სამამულო ომის I ხარისხის ორდენით, ხოლო პელაგია ივანეს-ასული ჟერნოკლევა — სამამულო ომის II ხარისხის ორდენით.

მოხუცმა კაზაკმა გერმანელთაგან გადაარჩინა პოლკის დროშა. ასეთივე გმირობა ჩაიდინა კიეველმა მოსწავლემ. სოფლის ფერშალმა და მისმა ცოლმა იხსნეს, მოარჩინეს დაჭრილი წითელარმიელები. ყოველივე ეს ერთისა და იმავე გვარის მოვლენაა. ადამიანებმა საფრთხეში ჩააგდეს ყველაზე ძვირფასი რაც, რაც კი ადამიანს მოეპოვება,—სიცოცხლე, მაგრამ ამან ვერ შეაჩერა ისინი, ეჭვი ვერ დაბადა მათ სულში იმ მძიმე წუთს. რა მძლავრი მორალური ძალა და რა დიდი სულის კეთილშობილებაა საჭირო ამისათვის! ეს მორალური თვისებები მთლიანად დაგვანახვა ომიანობის მძიმე განსაცდელის დღეებში ჩვენმა ხალხმა, და ეს არის ჩვენი ძალისა და უძლეველობის წყარო (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ფრიდელარმიელ რომან სიმონის-ძე სმიშჩუკისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის, მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“ წითელარმიელს რომან სიმონის-ძე სმიშჩუკს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წლის 12 ივნისი.

გაერთიანებულ ერთა დღის შესახებ

მიმდინარე წელს, ისევე როგორც 1942 და 1943 წლებში, 14 ივნისი არის დღე გაერთიანებულ ერთა სოლიდარობის დემონსტრაციისა მათ საერთო ბრძოლაში აგრესიის წინააღმდეგ. აღნიშნავს რა ამ დღეს, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ყველა საბჭოთა სახელმწიფო დაწესებულებას ა. წ. 14 ივნისს აღმართონ თავიანთ შენობებზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო დროშა დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა გაერთიანებულ ერთა პატივსაცემად, რომელნიც აგრეთვე შესაბამისად აღნიშნავენ ამ ღირსშესანიშნავ დღეს.

გაერთიანებული ერების დღის აღსანიშნავად

საფოსტო მარკების ახალი სერია

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატი უშვებს საფოსტო მარკების ახალ სერიას, რომელიც მიძღვნილია გაერთიანებული ერების დღისადმი. სერია შესდგება სამმანეთიანი და 60-კაპიკიანი ორი მარკისაგან. ყოველ მათგანზე ნატურალური ფერებით გამოსახულია ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ნაციონალური დროშები.

ხვალ, 14 ივნისს მარკები გასასყიდად გამოვა (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის საღამოს ცნობა

ლონდონი, 13 ივნისი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის კომუნიკეში, რომელიც დღეს საღამოს გამოქვეყნდა, ნათქვამია:

„მოკავშირეთა ჯარებმა საერთო წინსვლა განახორციელეს ყველა სექტორში, და უმთავრესად ბაიეს საძირკვლით სერიზის ტყესა და ტილლი-სურ-სელს შუა. განთავისუფლებულია კიდევ ორი ქალაქი — ტროარნი მარცხენა ფლანგზე და ლე ამი კონტანტენის ნახევარკუნძულზე, ამასამად უკვე წამოყვანილია 10 ათასზე მეტი ტყვე.

12 ივნისს ღამით მტრის კატერებმა სცადეს ზოანლოებიდან კომუნიკაციათა ჩვენს ხაზებს. მათ გზა გადაუჭრეს ჩვენმა სადარაჯო გემებმა და განდევნეს. ცოდი ამინდი ხელს არ უწყობდა ჩვენს საჰაერო შეტევას. მიუხედავად ამისა, დღის მძიმე ბომბდამშენები განაგრძობდნენ თავდასხმებს აეროდროომებზე პარიზის დასავლეთით. საშუალო ბომბდამშენებიც აქტიურობას იჩენდნენ და კვლავ მოახდინეს თავდასხმა აეროდროომებზე ქალაქ რენში.

ტორპედიან კატერებზე, რომლებზეც 13 ივნისს დილით ბულონის რაიონში იერიში მიიტანეს სანაპირო ავიაციის თვითმფრინავებმა, ცოტა უფრო გვიან კვლავ მიიტანეს იერიში რაკეტიანი დანადგარების მქონე ავიაგამანადგურებლებმა. მტრის სულ ცოტა სამი გემი ჩაძირულ იქნა, სხვებს კი ცეცხლი გაუჩნდა ან სერიოზულად დაზიანდა. ფოტოგადაღება, რაც ზეფიროვმა თვითმფრინავებმა მოახდინეს, გვიჩვენებს, რომ მნიშვნელოვნად დაზიანებულ იქნა ორლეანისა და რენის რკინიგზის კვანძები, რომლებზეც იერიში მიიტანეს მძიმე ბომბდამშენებმა ორი ღამის განმავლობაში 10 და 11 ივნისს“.

საომარი ოპერაციები ჩრდილოეთ საფრანგეთში

ლონდონი, 13 ივნისი (საკდესი). სამხედრო კორესპონდენტების ცნობით, იმ სანაპიროს, რაიონის სიგრძეზე, რომელიც მოკავშირეთა ხელშია, 13 ივნისის საღამოსთვის 150 კილომეტრს მიაღწია. ყველაზე მძიმე ბრძოლები სწარმოებდა დღის ბოლოს 48 კილომეტრ სიგრძის უბანზე მდინარე ვირის აღმოსავლეთით მდებარე რაიონში. ორივე მხრიდან ბრძოლებში მონაწილეობას იღებს ტანკების დიდი რაოდენობა.

მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ქალაქები ბალეტრეა და მონტებური, რომელიც შერბურის სამხრეთ-აღმოსავლეთით 24 კილომეტრზე მდებარეობს.

გენერალ მონტგომერის განცხადებით, მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოსდის მოკლულთა სახით.

როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურომ ცნობა გამოაქვეყნა, კოტანტენის ნახევარკუნძულზე მოკლულია გერმანიის საარმიო კორპუსის სარდალი გენერალი მარქსი.

ქიევის აღდგენაში მონაწილეობას იღებენ გამოჩენილი არქიტექტორები

ქიევი — ზნისა და მწვანის, ეშვენიერი არქიტექტურული ანსამბლების, დიდებული შენობების, ბაღებისა და პარკების ქალაქი.

გერმანელმა დამპყრობლებმა დანგრიეს ქიევი, დაამახინჯეს ბევრი ქუჩა, დასწვეს ქალაქის საუკეთესო შენობები.

გერმანელ დამპყრობთაგან საბჭოთა უკრაინის დედაქალაქის განთავისუფლების პირველი დღეებიდანვე ქიევის აღდგენა საყოველთაო-სახალხო საქმედ გახდა.

ქიევის აღდგენის საქმეში მონაწილეობას იღებენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო არქიტექტორები: შჩუსევი, ალაბიანი, ზარდვინოვი და სხვები. ისინი დაწვრილებით სწავლობენ ქალაქისა და განსაპირა უბნების ყოველ განსაკუთრებულ თვისებას და სახავენ ქიევის აღდგენის მომავალი გეგმის საფუძვლებს. რეკონსტრუირებული იქნება კრეშჩატიკის მთელი რაიონი, მთა შორის ვლადიმირისა და პროლეტარული პარკები, ხოლო აღმოსავლეთით — კომუნისტური ქუჩა და დასავლეთით პუშკინისა და მიხაილოვსკის ქუჩები. კრეშჩატიკი დიდად იქნება გაფართოებული და გამშვენებული.

უკრაინის სსრ მთავრობის დავალებით უკრაინის სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა კომიტეტი ღია კონკურსს აწყობს. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო არქიტექტორებს შეუკვეთეს ქიევის რეკონსტრუქციის პროექტები. (საკდესი).

საქართველოს მერგვნული ბიბლიოთეკა

ჩაის ფოთოლი ვკრიფოთ სწრაფად და მაღალხარისხოვნად

ივნისში ვიმუშაოთ უკეთესად, ვიღრე მაისში

ჩხოროწყუ („კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან). წელს კოლმეურნეობებში ჩაის პლანტაციები უკეთ არის დაცული და დამუშავებული. რაიონმა მაისში ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა 106 პროცენტით შეასრულა. ორგანიზებულად ჩატარდა ჩაის ფოთლის კრეფა სოფელ ნაფიჩხოვის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში. მაისში მოკრეფილ იქნა 19.064 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15.480 კილოგრამისა, გეგმების შესრულებაში თავი გამოიჩინეს მოსწავლეებმა: მეხუთე კლასის მოწაფე ბერიამ 30 მაისს 110 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 კილოგრამისა, გამოიმუშავა 12,75 შრომადღე, მოსწავლე ხ. ბერიამ მოკრიფა 80 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, გამოიმუშავა 10 შრომადღე, მეცხრე კლასის მოწაფე ბ. პაპავამ 30 მაისს მოკრიფა 115 კილოგრამი და 13,38 შრომადღე გამოიმუშავა.

მაგრამ ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ვერ უზრუნველჰყო მაისის გეგმის შესრულება. მაისში მეურნეობამ ქვეყანას დააკლო 14 ტონა ჩაის ფოთოლი. რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ მაისში მეურნეობა გეგმით გათვალისწინებული მუშახელით ვერ უზრუნველჰყვეს. ცუდად იმუშავა საბჭოთა მეურნეობის მეორე რაიონმა (უფროსი ვ. გუშაკვეიჩი). 31 ტონა ჩაის ფოთლის ნაცვლად მოკრიფა მხოლოდ 21 ტონა. ივნისში მოცემული გეგმისა და ნარჩენის შესასრულებლად საქართველოს კ. პ. (ბ) ჩხოროწყუს რაიკომმა მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა: ახლა მეურნეობას მუშახელი საკმაოდ ჰყავს. ფართოდ გაიაღდა სოციალისტური შეჯიბრება გაუმჯობესდა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები. ივნისში მეურნეობამ უნდა მოკრიფოს 74,6 ტონა ჩაის ფოთოლი, ხოლო 11 ივნისამდე მოკრეფილი იყო 20 ტონა. კრეფის ასეთი ტემპები არ არის დამაკმაყოფილებელი.

ჩხოროწყუს ჩაის ფაბრიკის მზადყოფნა სეზონისათვის მაისმა შეამოწმა. საკმარისი, სახმობი საამქროები, ღუმელები სრული დატვირთვით და შეუფერხებლად მუშაობდნენ. ფაბრიკამ მაისში გადაამუშავა 390 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

მგრეხავი დ. სეროვა გეგმით გათვალისწინებული 1.900 კილოგრამის ნაცვლად ტრეს 2.500 კილოგრამს. იგი გაბიროვნებულია 6 მგრეხავ მანქანაზე და ყველა შეუფერხებლად მუშაობს. ომიანობის დროის სტახანოველის სახელი მოიხვეჭეს მ. აფასასევამ, ემცროსმა ტექნოლოგებმა ბ. ჭკადუამ, ქ. ჩიქოვანმა, ი. გოგიამ, ს. შოგირაძემ, ბრიგადირებიდან — ლ. ვეკუამ, მ. გულუამ, ნ. დგებუაძემ. ისინი ორცვლაში მუშაობენ და 4.000 კილოგრამის ნაცვლად ამუშავებენ 5-6 ათას კილოგრამს. კარგად მუშაობს ჩაის დამხარისხებელი საამქრო ი. ბერიას ხელმძღვანელობით.

ფაბრიკამ ვალდებულება იკისრა ივნისში გამოუშვას 100 ტონა მზა პროდუქცია. ფაბრიკის კოლექტივი ებრძვის ამ დავალების შესრულებისათვის.

ნ. ჯანჯღავა

გენერალი ეიზენჰაუერი

რაგომ არ დაიცვეს ტექნოლოგიური პროცესი?

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჩაის ფაბრიკებში გაცხოველებით ამუშავებენ ჩაის ფოთოლს. კარგ მაჩვენებლებს იძლევა მახარაძის ჩაის ფაბრიკა (დირექტორი კ. გაბუნია) — პროდუქციის გამოშვების გეგმა მაისში 160 პროცენტით შეასრულა. მათ შორის პირველი ხარისხის ჩაი 1.500 კილოგრამის ნაცვლად გამოშვებულია 7.089 კილოგრამი, გეგმის 472 პროცენტი. ფაბრიკის წარმატებას განსაკუთრებით უწყობენ ხელს სოფელ განახლების ბუდიონის სახელობის, გურიანთის მახარაძის სახელობის, ვაკეჯვრის ხრუშჩოვის სახელობის, შემოქმედის მახარაძის სახელობის, ზვანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობები.

ფაბრიკაში მტკიცედ იცავენ ტექნოლოგიურ პროცესებს. მრავალი სტახანოველი ორმაგად და სამმაგად ასრულებს დავალებებს. საგრეხ საამქროში სტახანოველი ნ. ავდუშენკო 8 როლერის ნაცვლად, 22 როლერზე მუშაობს. ასეთივე წარმატებებს აღწევენ საჭესნობ საამქროში მ. მექვაბიშვილი.

მაისში მახარაძის ჩაის ფაბრიკამ გეგმის გადამეტებით 18 ათასი მანეთის მაღალხარისხოვანი პროდუქცია გამოუშვა. კიდევ უფრო მეტი წარმატებით მუშაობს ფაბრიკა ივნისში.

კარგ მაჩვენებლებს იძლევიან აგრეთვე შრომის, ნატანების და მაღალი ეწრის ჩაის ფაბრიკები.

ზოგიერთ ფაბრიკაში არის ჩამორჩენა. ნაკლოვანებია და ლაითურის ჩაის ფაბრიკებში დაარღვიეს ტექნოლოგიური პროცესები, საფანადოდ ვერ მოაგვარეს ფოთლის მიღება. ეს ნაკლოვანებები სასწრაფოდ უნდა აღმოიფხვრას.

ლ. ლოლაძე

ერთ დღეს—1.547 კილოგრამი

წალენჯიხა („კომუნისტის“ კორ.). ახალგაზრდა პატრიოტული მიმართვის პასუხად წალენჯიხის რაიონის მშრომელები აძლიერებენ მუშაობის ტემპებს. რაიონმა ვადაზე ადრე გადაკარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის მაისის გეგმა. მოკრეფილია 554.105 კილოგრამი ჩაის ძმწვანე ფოთოლი, თვიური გეგმის 112,6 პროცენტი. აქედან ბერიას სახელობის წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი გრ. შერობია) მოჰკრიფა 168.000 კილოგრამი — გეგმის 107,6 პროცენტი. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის მიერ მოკრეფილი ჩაის 90 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

წარმატება მოიპოვა ობუჯის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ხარჩილავა). ნაცვლად წლიური გეგმით დათვალისწინებული 8.000 კილოგრამისა, მაისში მოჰკრიფა 8.900 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლი.

ასეთივე წარმატება გვიჩვენებს მაისის გეგმის შესრულებაში ნაიფუს სტალინის სახელობის, ამავე სოფლის შეროზიის სახელობის, ჯგალის კვარაცხელიას სახელობის, ლიის ორჯონიკიძისა და წალენჯიხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებმა, წალენჯიხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ა. კალანდია) მოკრეფილი ჩაის ფოთოლი მთლიანად პირველი ხარისხისაა.

რაიონის კოლმეურნეობათა სტახანოველები და სოფლის მეურნეობის მუშაკები იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. სოფელ ლიის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველმა ე. ძაძამიამ თავის სტახანოვურ ნაკვეთზე შვიდი საათის განმავლობაში მოჰკრიფა 1.137 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლი, გამოიმუშავა 113,7 შრომადღე, ფულად მიიღო 1.735 მანეთი და 68 კილოგრამი მარცვლეული. ამავე კოლმეურნეობაში ც. ძაძამიამ ერთ დღეს მოჰკრიფა 1.070 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, თ. ძაძამიამ — 1.547 კილოგრამი. კარგი მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე: სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრ მ. აქბარდიას, წალენჯიხის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის სახელობის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე ს. ზონიას.

ელ. უგილავა

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა

(ტრესტ „საქჩაის“ 10 ივნისის ცნობებით)

რაიონები	კრეფის წლიური გეგმის შესრულება პროცენტით	ივნისის გეგმის შესრულება პროცენტებით	რაიონები	კრეფის წლიური გეგმის შესრულება პროცენტით	ივნისის გეგმის შესრულება პროცენტებით
ბათუმი	26,3	30,0	ქუთაისი	31,7	28,1
ქობულეთი	22,0	32,4	წყალტუბო	34,7	29,6
გალი	27,8	33,2	ტყიბული	33,3	42,8
ოჩამჩირე	24,5	34,8	ცაგერი	28,2	15,1
ტყვარჩელი	45,7	71,2	ბაშა	24,3	4,0
სოხუმი	76,0	280,0	გეგეჭკორი	26,0	19,8
გუდაუთა	32,2	35,0	ზუგდიდი	23,5	17,9
მახარაძე	22,1	24,4	წალენჯიხა	31,8	27,5
ჩოხატაური	25,5	18,9	ჩხოროწყუ	26,9	6,4
ლანჩხუთი	19,8	19,8	ხობი	29,3	20,9
სამტრედია	31,3	24,8	ჩიკარი	30,7	—
წულუკიძე	25,6	28,7	ზესტაფონი	13,5	17,3

შრომის (მახარაძის რაიონი), აცანისა და ლუფსის (ლანჩხუთის რაიონი), დიდი ჭყონის (მეორე (გეგეჭკორის რაიონი) და ზუგდიდის (ზუგდიდის რაიონი) ცნობები 5 ივნისისაა.

მახარაძის რაიონის ჩაის პლანტაციებში. სურათზე: (მარცხნიდან) სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეშვიდე ბრიგადის წევრები თოხნიან ჩაის პლანტაციას; სოფელ გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ნ. ზღუდაძე, რომელიც ჩაის ფოთლის კრეფის დღიურ ნორმას 300-350 პროცენტით ასრულებს.

ფოტო რ. აკოფოვისა

დეკადები

უსხოეთის პრესა კარელიის ყელზე საბჭოთა ჯარების შეჭვევის შესახებ

ლონდონი, 12 ივნისი (საკადესი). ამხანაგ ი. ბ. სტალინის ბრძანება კარელიის ყელზე შეტევის შესახებ გამოქვეყნებულია ყველა გაზეთის პირველ გვერდებზე. გუშინ საღამოს ბრიტანეთის რადიომაუწყებელმა კომპანიამ გადაცემა შესწყვიტა იმისათვის, რომ გადაეცა სპეციალური ცნობა ბრძანების შესახებ.

„ნიუს ქრონიკლი“ სარედაქციო სტატიაში სწერს: „ფინელებს მალე ძვირად დაუჯდებათ თავიანთი ჯიუტი უარი იმ ზომიერი სამშვიდობო პირობების მიღებაზე, რომლებიც მათ გაზაფხულზე მოსკოვმა შესთავაზა“.

„გაზეთი „დეილი ექსპრესი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წითელი არმიის შეტევის შედეგად მტრის ხაზები ფართოდ არის გარღვეული. ამჯერად დარტყმის ადგილი მოულოდნელი იყო—და პირველ რიგში ფინელებისათვის. „ფინელები შესცდნენ 1941 წელს. გერმანელთა ვასალების შეცდომები შეიძლებოდა გამართლებულიყო გერმანიის წარმატებებით. ასე როდი იყო საქმე ამა წლის გაზაფხულზე, როდესაც ფინეთის შესაძლებლობა ქონდა ასატან პირობებში გამოსულიყო ომიდან. ახლა კარელიის ყელზე ფინეთის ჯარები თავიანთ ხელმძღვანელთა შეცდომებისა და სიბრმავის პირველ ნაყოფს იმკიან. მათ იგემეს პირველი—და მხოლოდ პირველი—დარტყმა იმ დარტყმათაგან, რომლებიც მოსალოდნელია აღმოსავლეთიდან“.

ნიუ-იორკი, 12 ივნისი (საკადესი). დილის გაზეთები ცნობას კარელიის ყელზე წითელი არმიის შეტევის შესახებ თითქმის ისევე თვალსაჩინოდ ათავსებენ, როგორც ცნობებს ჩრდილოეთ საფრანგეთში მოკავშირეთა ჯარების შეჭრის შესახებ. ამერიკის რადიოსადგურები გადასცემენ კერძო ცნობებს კარელიის ყელზე შეტევის შესახებ და ხაზგასმით აღნიშნავენ ამ შეტევის შეთანხმებულობას მოკავშირეთა შეტევასთან. „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ ცნობას ასეთი სათაურით ათავსებს: „რუსები იწყებენ საბოლოო ლაშქრობას ფინეთზე“. ასეთივე სათაურებით ათავსებენ ცნობას სხვა გაზეთებიც.

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი საჰაერო სარდლობის შეტევის შესახებ

ლონდონი, 13 ივნისი (საკადესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი საჰაერო სარდლობის შტაბის კომუნიკეში, რომელიც დღეს დილით გამოქვეყნდა, ნათქვამია: „ორი დღის გაფთრებული ბრძოლების შემდეგ ამერიკის ჯარებმა დაიკავეს კარანტანი. ეს მნიშვნელოვნად განამტკიცებს კავშირს ჩვენს ორ მთავარ პლაცდარმს შორის. ტალლის სექტორში მტერი კვლავ ძლიერ წინააღმდეგობას გვიწევს. სხვა უბნებზე მოკავშირენი სისტემატურად აწყვეტენ წარმატებას, თუმცა შესამჩნევი წინსვლა არ აღნიშნულა. ძალების ზრდა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ჩვენი ავიაციის დიდი ძალები 12 ივნისს ნაშუადღეს და საღამოს კვლავ ურტყამდნენ რკინიგზის ობიექტებს და მტრის ჯარებისა და ტრანსპორტის შეჯგუფებებს. საშუალო ბომბდამშენებმა და მოიერშე თვითმფრინავებმა მოახდინეს თავდასხმები რკინიგზის ქსელის სხვადასხვა პუნქტებზე ფრონტის მტრის ხაზებს უკან. სხვა ობიექტთაგან იერიში მიიტანეს ჯარებისა და ავტოტრანსპორტის შეჯგუფებებზე ბრძოლების რაიონში და საარტილერიო პოზიციებზე. გაფთრებული დაბომბვა განიცადეს ტანკების შეჯგუფებებმა გიმბოსკის ტყეში, კანის სამხრეთ-დასავლეთით. ამ იერიშის შედეგად აფეთქებულია საომარ მასალათა საწყობი.

ავიაგამანადგურებლები პატრულობდნენ ლანპაიროს და ლა-მანშის ზონებს; მოსპობილია მტრის მთელი რიგი თვითმფრინავები აეროდრომებზე.

12 ივნისს ღამით მოკავშირეთა მძიმე ბომბდამშენების დიდი შენაერთი თავს დაესხა რკინიგზის ობიექტებს ამიენში, არასში, კამბრესა და პუატიეში, აგრეთვე ხიდებს განში. 23 ბომბდამშენი თავის ბაზებში არ დაბრუნებულა. ღამის განმავლობაში სამუალო ბომბდამშენებმა და მოიერშე თვითმფრინავებმა დაბომბეს სენაზე გადასასვლელები კოდებეკში, რკინიგზის-კვანძი მეზიდონში და სხვა ობიექტები გზატკეცილებსა და რკინიგზებზე ამავე რაიონში. ოთხი თვითმფრინავი ბაზებში არ დაბრუნებულა. ღამის ავიაგამანადგურებლებმა მტრის 9 თვითმფრინავი ჩამოაგდეს პლაცდარმისა და ბრძოლათა ზონის თავზე“.

წმენდა ივაღიის არმიაში

ალჟირი, 11 ივნისი (საკადესი). გაზეთ „დერნიერ ნუველის“ ცნობით, იტალიის სამხედრო სამინისტრო აწარმოებს იტალიის არმიის წმენდას. თანამდებობისაგან განთავისუფლებულია 29 გენერალი, 21 პოლკოვნიკი, 368 უფროსი ოფიცერი და 9.496 უმცროსი ოფიცერი.

საომარი მოქმედება ივაღიაში

ლონდონი, 13 ივნისი (საკადესი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბი იუწყება, რომ მოკავშირეთა ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, ფრონტის ადრიატიკის უბანზე მთელ რიგ ადგილებში გადალახეს ვდინარე სალინე. დაკავებულია გზების მნიშვნელოვანი კვანძი პოპოლი (30 კილომეტრზე კიეტის სამხრეთ-დასავლეთით, რომ-პესკარის გზაზე). წინ წაიწიეს აგრეთვე ბოლსენის ტბის აღმოსავლეთით და დასავლეთით. გაფთრებული ბრძოლები სწარმოებდა ბანიორეჯოს რაიონში (ორვიეტოს სამხრეთ-დასავლეთით).

ავიაცია განაგრძობდა თავდასხმებს მოწინააღმდეგის ჯარებზე და მის სამხედრო ობიექტებზე.

დაბომბილ იქნა აგრეთვე მტრის გემები და გზები კუნძულ კორსიკაზე, იუგოსლავიის სანაპიროსთან.

წუხელ მოკავშირეთა ავიაციის ბომბდამშენები თავს დაესხნენ მტრის ობიექტებს უნგრეთში.

მოკავშირეთა ხმელთაშუა ზღვის ავიაციამ 1.110-მდე თვითმფრინავგადაფრენა მოახდინა.

ლონდონი, 13 ივნისი (საკადესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ფრონტის ადრიატიკის უბანზე მოწინააღმდეგემ დასტოვა მდინარე პესკარის სამხრეთი ნაპირი. მე-5 არმიის ნაწილებმა რომის ჩრდილოეთით 120 კილომეტრზე მდებარე პუნქტს მიაღწიეს. დაკავებულია პუნქტი კანტალუპო, რომელიც მდებარეობს დაახლოებით 20 კილომეტრზე რიეტის დასავლეთით, ტიბრის აღმოსავლეთ ნაპირზე.

ანგონ ჩეხოვის გარდაცვალების 40 წლისთავისათვის

15 ივლისს სრულდება 40 წელი დიდი რუსი მწერლის ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალებიდან. ეს თარიღი ფართოდ აღინიშნება მთელ საბჭოთა კავშირში. საქართველოში ჩეხოვის დღეების ჩასატარებლად საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ გამოჰყო საიუბილეო კომიტეტი საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის ვ. კუპრაძის თავმჯდომარეობით.

ა. პ. ჩეხოვის ხსოვნის აღსანიშნავად კომიტეტმა გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები.

15 ივლისს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგება ა. ჩეხოვს ხსოვნის აღსანიშნავი საღამო შემდეგი პროგრამით: მოსმენილ იქნება მოხსენება ა. ჩეხოვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

მხატვრულ განყოფილებაში სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ვასაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ვ. ბრაგინი, პ. კობახიძე, თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები გეგეჭკორი და ზვერეგი წაიკითხავენ ჩეხოვის ნაწარმოებებს. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ე. სოხაძე, დ. გამრეკელი, ოპერის სოლისტი გ. გოგიჩაძე და კონსერვატორიის სტუდენტები გოცირიძე და მიქელაძე. საღამოს წამყვანი—პ. კობახიძე.

სახელგამს დაეგზავნა გამოსცეს ა. ჩეხოვის ნაწარმოებთა ერთტომეული 10-15 ფორმის ოდენობით. ერთტომეულისათვის ჩეხოვის ნაწარმოებები შეარჩია სპეციალურმა კომისიამ გ. ქიქოძის, ლ. ჭიაჩელისა და ლ. ასათიანის შემადგენლობით. წიგნის redaქტორობა დაეკვალა გ. ქიქოძეს.

საქართველოს სარაიონო ცენტრების კულტურის სახლებში, ხალხის სახლებში, მეურნეობა-კულტურებში, სასკოლო-სახელოვნებლებში პოეზიის წაკითხვა მოხსენებები, აგრეთვე საუბრები ა. ჩეხოვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. მომზადებულია დამატებითი ინფორმაციაც ამ ხანაგებისა: შ. რადიანი, ბ. ჟღენტი, გ. ჯიბლაძე, ი. გრიშაშვილი, გ. ნატროშვილი, დ. ბენაშვილი, ი. წულუკიძე, ე. ასტვაცატუროვი, ს. დანელია, ა. გაწერელია, კ. კაპანელი, ა. ჭეიშვილი, დ. შენგელაია, რ. ქორქია, შ. აფხაიძე, ვ. გორგაძე, ვ. შადური, ნ. ილინსკი, დ. ჯაფარიძე, გ. კოსტანოვი, ა. ნიკოლაძე და ა. ჩხეიძე.

საქართველოს ლიტერატურული მეზეუმი და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა ეწყობენ ა. ჩეხოვისადმი მიძღვნილ გამოფენებს.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ლიტერატურის კათედრა ჩეხოვის დღეებში მოაწყობს კათედრის სამეცნიერო ღია სხდომებს, რომლებზეც წაკითხული იქნება შემდეგი მოხსენებები: ნ. ილინსკი—„ჩეხოვი და გორკი“, ლევიცკი—„ჩეხოვი როგორც დრამატურგი“, ნათაძე—„ჩეხოვის ენა“, გ. ჯაფარიძე—„ჩეხოვის ქართული თარგმანები“, ს. დანელია—„ჩეხოვი და მისი დრო“. სტუდენტთა ლიტერატურული წრეები ეწყობენ სხდომებს, რომლებზეც მოსმენილ იქნება მოხსენებები ჩეხოვის შესახებ. წრეებზე კათედრამ მიამაგრა დოცენტები ვ. შადური და გ. კოსტანოვი.

მწერალთა სასახლეში ი. გრიშაშვილი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე „ჩეხოვი ქართულ ლიტერატურაში“.

საქართველოს ზოოტექნიკურ-საველერინარო ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია

10 ივნისს, დღის 12 საათზე საქართველოს ზოოტექნიკურ-საველერინარო ინსტიტუტში მეცხოველეობის საკითხებზე გაიხსნა სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ თბილისის სამეცნიერო დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, სამხედრო უწყებისა და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა დოც. ნ. ი. ცომაიამ. მან აღნიშნა ინსტიტუტის მიღწევები სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში და ილაპარაკა სოციალისტური მეცხოველეობის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებულ ამოცანებზე სამამულო ომის ვითარებაში.

სხდომამ მოისმინა დოკლადები პ. გეგეჭკორის და ნ. პროკბრაკენსკის მოხსენებები დაავადება „ბანდალას“ შესახებ. თანამოხსენება გააკეთა აფხაზეთის მიწსაკომის სავეტერინარო სამმართველოს უფროსმა ვეტექიმმა ვ. გაფრინდაშვილმა. კამათში მონაწილეობა მიიღეს დოცენტებმა ლ. ყანჩაველმა, ხ. ჯანაშიამ, თ. მამაიაშვილმა, ვეტექიმმა ბერიძემ, სამხედრო ვეტსამსახურის მაიორმა ბაიბურთიანმა და სხვებმა.

კამათი ცხადყო დაავადება „ბანდალას“ შესასწავლად აუცილებელ წარმოებული მუშაობის მიმართულების სისწორე. მოპოვებული შედეგების დიდი მნიშვნელობა და დასახა ამ დაავადების წინააღმდეგ მომავალი ბრძოლის ღონისძიებანი.

მეორე სხდომაზე, რომელიც შესდგა 11 ივნისს დღის 12 საათზე, მოსმენილ იქნა პროფესორ დ. აგლაძის მოხსენება: „ქართული ცხვრის თუშურ პოპულაციაში სასელექციო მუშაობის ზოგიერთი ელემენტის შესახებ“ და დოცენტ ნ. მელითაურის მოხსენება თემაზე „თუშური ცხვრის მეზორიული თვისებების გაუმჯობესების საკითხისათვის“. მოხსენებათა ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული კამათი.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. ს. ხოშტარიამ თავის ვრცელ სიტყვაში ანალიზი გაუკეთა მეცხოველეობის მდგომარეობას საქართველოში, წარმოებული მეტიზაციის შედეგებს და დასახა მომავალი სასელექციო სანაშენო მუშაობის ამოცანები.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე დოცენტებმა ს. ერქომაიშვილმა, პ. გეგეჭკორმ, ს. ჭუმბურიძემ, წარმოების მუშაკებმა მ. რრეულიშვილმა, ა. ნატროშვილმა, დ. პაპიაშვილმა, ვლ. ქუმსიაშვილმა და სხვ.

აზრთა გაცვლა-გამოცვლამ ბევრი რამ დააზუსტა და გააშუქა მეცხვარეობაში შემდგომი სასელექციო-სანაშენო მუშაობის მიმართულებები.

ვინ ითვისებს ჟურნალ-გაზეთებს?

ცაგერი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ცაგერის რაიონი ხშირად დიდი დანაკლისით იღებს ჟურნალებსა და რესპუბლიკურ გაზეთებს. კიდევ მეტი—არის შემთხვევები, როცა ჟურნალ-გაზეთების ზოგიერთი ნომრები სრულებით არ მოდის.

1944 წლის 1 იანვრიდან დღემდე რაიონს დაეკლდა გაზეთ „კომუნისტის“ სხვადასხვა ნომრები 2.886 ცალის რაოდენობით, ხოლო სრულებით არ მიუღია „კომუნისტის“ რამდენიმე ნომერი. 5 თვეა ორბელის, გვეშის, ლალოლაშის და ალპანის სასოფლო საბჭოებში ხელმოწერილები არ იღებენ გაზეთებს „ლიტერატურა და ხელოვნებას“, აგრეთვე ჟურნალებს „ბოლშევიკს“, „მნათობსა“ და „ნიანგს“.

მდგომარეობის გამოსასწორებლად კავშირგაბმულობის ცაგერის რაიონტორამ მრავალჯერ მიმართა თხოვნით „სოიუზპეჩატის“ საქართველოს კანტორას, მაგრამ მდგომარეობა არ გამოსწორებულა.

ვინ ითვისებს ცაგერის რაიონისათვის გამოგზავნილ ჟურნალ-გაზეთებს?

ს. ჟურაშვილი

„ყაჩაღები“ გორის სახელმწიფო თეატრში

ზუთშაბათს, 15 ივნისს გორის სახელმწიფო თეატრი მაყურებელს უჩვენებს მორიგ პრემიერას — ფ. შილერის „ყაჩაღებს“ (თარგმანი ნ. ავალიშვილისა). პიესა დადგა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა პ. ფრანგიშვილმა, მხატვრულად გაფორმა ნ. კილსანიძემ, მუსიკა დაწერა ს. მირიანაშვილმა.

სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებენ: ვ. ალხანიშვილი და ი. ოსაძე (მაქსიმილიან ფონ მორი), ა. კალანდარაშვილი და შ. ხერხეულიძე (კარლოსი), ა. შონია და პ. ფრანგიშვილი (ფრანცი), თ. ერისთავი და თ. დოლიძე (ამალია), ს. ხუდადოვი (ჰერმანოზი), ე. არაქელოვი (დანიელი), ს. გრიქუროვი და დ. ოქროკვარიძე (პატერი), შ. იმერლიშვილი (შვეიცერი), მ. ბახტაძე (როლერი) ს. კალანდარიშვილი და გ. ომიაძე (შპიგელბერგ), გ. კაკალაშვილი (შუფტერლე), მ. კალატოზიშვილი (რაზმან), შ. ხაკალია (შვარცი), მ. ტლუაშვილი (გრიმი).

სემინარი

15 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველეოს სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება საქართველოს ისტორიის მასწავლებელთა სემინარის მორიგი მეცადინეობა ქართულ ენაზე. თემა: **„საქართველო XIX საუკუნის პირველ მესამედში“.**

სემინარს ჩაატარებს პროფესორი **ვ. დონდუა.**

ლექციები

14 ივნისს, საღამოს 8 საათზე რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში (რუსთაველის ქ. № 21) საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველეოს სახელობის საქალაქო პარტკაბინეტი აწყობს ა. **სულემანის** ლექციას **რუსულ ენაზე, თემა: „გერმანია ორ ფრონტზე ომში“.**

ბილეთების მიღება შეიძლება **საკონცერტო** დარბაზის სალარაში 14 ივნისს დილის 11 საათიდან საღამოს 8 საათამდე და საქალაქო პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში (ლენინის ქ. № 41) დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

15 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველეოს სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება აკადემიკოს **ნ. ბერძენიშვილის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„ერეკლე მეორე“.**

16 ივნისს, საღამოს 5½ საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის პარტკაბინეტში (პუშკინის ხეივანი, № 83), შესდგება ა. **ასათიანის** ლექცია **რუსულ ენაზე. თემა: „ბოლშევიკების პარტია ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში“** (1926-1929 წწ.).

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ბ. ჯიბლაძე

ეგ. ავალიშვილი, თ. გრიგოლია, მ. დოდაშვილი, კ. თურქია, ლ. ლაცაბიძე, მ. მესტიაშვილი, მ. და ე. ჯინორიები, ო. ხელაია იუწყებიან მეგობრის ექიმ **ირაკლი გიორგის-ძე ბახტაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ელისაბედ, შვილები ვალერიან, შალვა, გიორგი ცოლ-შვილით იუწყებიან **მიხეილ გიორგის-ძე ცაბაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 14/VI, 6 ს. ბარნოვის შეს. 3.

რკინიგზის საწარმოო კომბინატის თანამშრომლები იუწყებიან დიმიტრი კობიაშვილის დედის **ბარბარე კობიაშვილი-ჩიჯავაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 14/VI, 6 ს. სანაპირო, 21.

მეუღლე მარო, სიძე ნასყიდა, ცოლისდები ნინო, ქრისტინე ახობაძეები, მიხეილ, ნინო სვიმონიშვილები იუწყებიან **სოლიკო გოგილაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 14/VI, 5½ ს. შაბორის, 28.

შვილები გრიშა, ოლია, ლიდა, შვილიშვილი ნელი იუწყებიან **ანეტა ჩიქოვანი-დავითაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 14/VI, 7½ ს. გამოსვენება 15/VI, 6 ს. ყორეს, 22.

დედა ოლა, გაგისა და ჭიჭიკო ჭილაიები, ქსენია და კოლია ჩანტლაძეები შვილებით იუწყებიან **ვენერა მელქისეს-ასულ ჯაფის** გარდაცვალებას.

მიხეილ კვაჭაძე ცოლ-შვილით, ანიკო, სულიკო და ვახტანგ იუწყებიან **მიშა ალექსანდრეს-ძე კვაჭაძის**, გარდაცვალებას.

დამსახურებული ექიმი ლ. დ. ფაცელიშვილი მეუღლით, შვილებით, სძით და რძლებით იუწყება პროფესორ **დიმიტრი ნიკოლოზის-ძე მატვეევის** გარდაცვალებას.

დაკარგულია თბილისის ჯარმრთველობის განყოფილების ბავშვთა საავადმყოფოს მ ბეჭედი. ჩ. გ. 81

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26, პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-06-67, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიულისა და პროპაგანდის—3-81-84, სახოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-88, სამხედრო, განათლება-ჯანმრთელობის, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, წერილების—3-73-54, მ ორიგინალი და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ___ ტირაჟი 21.800 ЦЦ 00295